სოციალური დაცვის 2011 წლის პროგრამები

1. **ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა სოციალურად დაუცველი 100000 ქულის მქონე ოჯახების ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე:**

ყოველ მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება. პროგრამის ბიუჯეტი 148500 ლარი.

2. **მრავალშვილიანი და უდედმამო ბავშვების ოჯახებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება** - პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 166500 ლარს.

3. **პროფესიული სწავლება:**

გათვალისწინებულია ქ. ბათუმში რეგისტრირებული 70000 ქულის მქონე პირები. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 45000 ლარს.

4. **შ.შ.მ პირების შეღავათებით უზრუნველყოფა:**

I ჯგუფის უსინათლო შშმ პირების კომუნალური და სააბონენტო გადასახადისგან გათავისუფლება. I ჯგუფის უსინათლო შშმ პირებზე გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხის გაცემა (კერძო სექტორში 300 ლარი, ხოლო მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში 220 ლარი). პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 51000 ლარს.

5. **ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამა:**

ა). ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და ერთჯერადი მატერიალური დახმარება. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50755 ლარს;

ბ). ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლება. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 125400 ლარს;

გ). ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხის გაცემა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50400 ლარს.

6. **სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება:**

მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების, 70000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების სანდასუფთავების, წყლისა და კანალიზაციის გადასახადისგან გათავისუფლება.

მრავალშვილიანი ოჯახების, 70000 ქულის მქონე ოჯახების, მარტოხელა დედების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახების ბავშვებისთვის სახელოვნებო, სპორტულ, სკოლამდელი აღზრდის და სასკოლო დაწესებულებებში სწავლების საფასურის 100%-ით დაფარვა; ოჯახიდან მეორე და ყოველი მომდევნო აღსაზრდელის საბავშვო ბაღში სწავლების გადასახადის 100%-ით დაფარვა.

70 000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში).

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 694056,8 ლარს.

7. **სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვება:**

სოციალურად დაუცველი 1470 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფა მთელი კვირის განმავლობაში. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 729061,1 ლარს.

8. **უპოვართა და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობა:**

მზრუნველობამოკლებული 110 მოხუცის მოვლა-პატრონობა. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 504457,8 ლარს.

9. **უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა - ბიუჯეტი 9000 ლარი.**

10. **საქალაქო ტრანსპორტზე შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამა:**

მასწავლებელების, მოსწავლეების, სტუდენტების, 70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, პენსიონერების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობა. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 500000 ლარს.

ჯანმრთელობის დაცვის 2011 წლის პროგრამები

1. **ქ. ბათუმის სკოლებში ავადობის აქტიური გამოვლენა და მკურნალობა:**

პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა სქრინინგს, რენდგენოგრაფიას, სამკურნალო ცურვას, სამკურნალო ფიზკულტურას, ცხვირის ნაცხის ანალიზსა და ექოსკოპიას. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 121885 ლარს.

2. **მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგი და ამბოლატორიული მკურნალობა:**

პროგრამა ითვალისწინებს სქრინინგს, ტრავმატოლოგის და ნევროპათოლოგის კონსულტაციას, რენდგენოგერაფიას, ფიზიოთერაპიას და საჭიროების შემთხვევაში, კალციუმის შემცველი მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 21180 ლარს.

3. **ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია:**

გათვალისწინებულია ერგოთერაპია, ფსიქოთერაპია, არტთერაპია, უნარ-ჩვევების გამომუშავება და ადაპტაცია.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 59007 ლარს.

4. **ქ. ბათუმში მოხუცებულთა კატარაქტისა და გლაუკომის ოპერაციული მკურნალობა.**

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 98795 ლარს.

5. **ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია:**

გინეკოლოგის კონსულტაცია, საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია, ექოსკოპია.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 39715 ლარს.

6. **ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა:**

ა). ქ. ბათუმში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებული პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ბ). ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

გ). მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული 100 000 ქულის მქონე პირების, შ.შ.მ. პირების და ასაკით პენსიონერების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 136916 ლარს.

7. ქ. ბათუმის მერიის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების 1665 თანამშრომლის სამედიცინო დაზღვევა.